ხელშეკრულება №221/06

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ

ქ. თბილისი 31 მარტი 2015 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელის ერმი ქემოკლიძის სახით და მეორე მხრივ, სსიპ ქ. თბილისის №55 საჯარო სკოლა (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მაია შარტავას სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტს „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა პროფესიული პედაგოგიური პრაქტიკის მომსახურების შესყიდვა (CPV 80300000).

1.2. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის „დაწყებითი განათლება" ბაკალავრების – **არაბიძე თამარ, ბაუჟაძე ნათია, მელაძე ელენე, კვარაცხელია აიზა, სარიბეკიანი ვერიკო, მღებრიშვილი ია** - დაწყებითი საფეხურის მათემატიკის სასკოლო კურსის ; **5 კრედიტი**

1.3. **არაბიძე თამარ, კვარაცხელია აიზა** - დაწყებითი საფეხურის ბუნებისმცოდნეობის სასკოლო კურსის; **5 კრედიტი**

1.4. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „მასწავლებელთა განათლება"**(10 კრედიტი)** მაგისტრების – **აბულაძე თეონა, ბუსკივაძე ხათუნა, ოგანესიანი ემა, ცალუღელაშვილი მარიამ** და დამატებითი(minor)საგანმანათლებლო პროგრამის **(5 კრედიტი)** ბაკალავრის - **ნინო ნანეტაშვილის** - მიერ - 55-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურისა და საბაზო-საშუალო საფეხურის ინგლისურის მასწავლებლების ხელმძღვანელობით: <u>მარინა ქურდოვანიძე, ირმა მებზევიშვილი, ფიქრია სტეფანიშვილი, ირმა კერესელიძე, ნინო მათიკაშვილი</u> პედაგოგიური პრაქტიკის გავლა 5 კრედიტის ოდენობით, 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში (31.03.2015–15.06.2015).

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) ხელშეკრულების საგანში გაწერილი პუნქტები შეასრულოს დროულად და ხარისხიანად.

ბ) ხელშეკრულების საგანში აღნიშნულ პროგრამაში მონაწილე ბაკალავრზე წარმოადგინოს ინდივიდუალური დასკვნა.

2.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) აანაზღაუროს ხელშეკრულების საგნის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

ბ) განახორციელოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორის, ზაქარია ქიტიაშვილის მიერ.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორება

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების ფასი განსაზღვრულია მხარეთა შორის და იგი შეადგენს:

3.1.1.დაწყებითი საფეხურის მათემატიკის სასკოლო კურსის პედაგოგიურ პრაქტიკაზე აღრიცხულ ერთ სტუდენტზე 100 (ასი) ლარს – 6 x 100 = 600(ექვსასი) ლარს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

3.1.2. დაწყებითი საფეხურის ბუნებისმცოდნეობის სასკოლო კურსის პედაგოგიურ პრაქტიკაზე აღრიცხულ ერთ სტუდენტზე 100 (ასი) ლარს – 2 x 100 = 200 (ორასი) ლარს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით

3.1.3. საბაზო-საშუალო საფეხურის ინგლისურის სასკოლო კურსის პედაგოგიურ პრაქტიკაზე აღრიცხულ ერთ სტუდენტზე 100 (ასი) ლარს – 5 x 100 = 500 (ხუთასი) ლარს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით

3.2. **ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1300 (ათას სამასი) ლარს.**

3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურების მოწოდებასთან დაკავშირებულ „მომწოდებლის ყველა ხარჯს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.4. შესყიდვის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში (მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე).
3.5. ანგარიშსწორება იწარმოებს „შემსყიდველსა" და „მიმწოდებელს" შორის შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე არაუგვიანეს 5(ხუთი) კალენდარული დღისა.

4. ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და მოქმედების ვადა

4.1 პროფესიული პედაგოგიური პრაქტიკის მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 15 ივნისამდე
4.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 15 ივლისამდე
4.3 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღეს და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად ამოწურვამდე.

5. დავის გადაწყვეტის წესი

ყველა დავა, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე ხელშეკრულებიდან უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს საურავი „შემსყიდველს" ხელშეკრულების ფასის 0.1 % ოდენობით.
6.2. „შემსყიდველი" უფლებამოსილია დამკვეთის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში დააკისროს საურავი „მიმწოდებელს" ხელშეკრულების ფასის 0.1 % ოდენობით.

7. დაუძლეველი ძალა

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ყოველგვარი პასუხისმგებლობისაგან, თუ წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.
7.2. დაუძლეველი ძალა გულისხმობს ომსა და საბრძოლო მოქმედებებს, სტიქიურ უბედურებებს, ხანძარს, გაფიცვებს, სამოქალაქო არეულობას, საკანონმდებლო ცვლილებებს.

8. სხვა პირობები

8.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.
8.2. ხელშეკრულების ყველა დამატება და ცვლილება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობით, წინამდებარე ხელშეკრულების ფორმის დაცვით და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

9. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი":
სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მისამართი:ქ. თბილისი,ი. ჭავჭავაძის გამზ.№ 1

რეკვიზიტები:
სახაზინო სამსახური,
თსუ ეკონომიკური შემოსავლები
ს/კ 204864548

„მიმწოდებელი":
სსიპ- ქ. თბილისის №55 საჯარო სკოლა

მისამართი: ქ. თბილისი,ი. ჭავჭავაძის ქ. № 38

საბანკო რეკვიზიტები:
სს ლიბერთი ბანკის ც/ფილიალი
ბ/კ LBRTGE22
ანგ. № GE32LB0121148026695000
ს/კ 204859858

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ.შ

/ერმი ...ოკლიძე/

დირექტორის მ/შემსრულებელი

/ მაია შარტავა/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

31 მარტი 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან სსიპ ქ.თბილისის №55 საჯარო სკოლა

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი ე. ქემოკლიძე

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი ი.საღარეიშვილი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ა.კუკულავა

შესყიდვების მთ. სპეციალისტი ლ.კოპალეიშვილი